

**კითხვებს ლიტურგიკულ საკითხებზე პასუხობს**  
**ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ბელატიის**  
**მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**  
**დეკანოზი ბიძინა გუნია**

- ა) ინფორმაცია ლიტურგიკულ საკითხებზე შეგიძლიათ მოიძიოთ საპატრიარქოს განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე – „ცნობარი მედავითნეებისთვის“ <http://venakhi.ge/medavitne.html>  
ბ) კითხვები თქვენთვის საინტერესო ლიტურგიკულ საკითხებზე გამოგზავნეთ ელ-ფოსტაზე: [davati@venakhi.ge](mailto:davati@venakhi.ge) ან [svetitskhoveli@gmail.com](mailto:svetitskhoveli@gmail.com)  
გ) ინფორმაცია და პასუხები გარდა ზემოაღნიშნული ვებ-გვერდისა, იხილეთ აგრეთვე „ფეისბუქი“ - მამა ბიძინა გუნია.

შენიშვნა: იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ –  
№36 (695) 31.10-6.11.2013წ. გვ. 4 და №37 (696) 7-13-11.2013წ. გვ. 5.

**კითხვა 15:** წირვის აღსრულებისას რამდენად აუცილებელია ღვინის წყლით გაზავება და სად ამოვიკითხოთ საეკლესიო მინიშნება ამ საკითხთან დაკავშირებით?

**პასუხი:** (ქვემოთ ხაზი ყველგან ჩვენია – დკ. ბ.გ.).

ა) მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „და მოიღო სასუმელი და კმადლობდა და მისცა მათ და თქვა: „სუთ ამისგანი ყოველთა, ...“ (მთ. 26. 27). წმიდა წერილში მსგავსი შინაარსის მუხლებს სხვაგანაც ვხვდებით (მკ. 14. 22; ლკ. 22. 19; 1 კორ. 11. 23).

ზემოთქმულთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მაცხოვარმა საიდუმლო სერობაზე, ჩვეულებისამებრ, წყლით განზავებული ღვინო გამოიყენა, რაზეც სახარების ამ მუხლის ყველა განმარტებელი თანხმდება (ეპისკოპოსი მიქაელი 2000: 522; დმიტრევსკი 2009: 226; მიტროპოლიტი მაკარი 1999: 378 და სხვა);

ბ) „...იმ წესჩვეულებებით, რომელსაც იუდეველები იცავდნენ პასექის აღნიშვნისას, ...ოჯახის უფროსი მიიღებდა დიდ თასს წყლით განზავებული წითელი ღვინო (რასაც რაბინებიც ამოწმებენ) და წარმოთქვამდა...“.

„...იესო ქრისტემ ყველა ეს წესჩვეულება დაიცვა ბოლო საღამოზე (საიდუმლო სერობაზე – დკ. ბ.გ.)...“ (ივანოვი 2002: 313-314);

გ) კართაგენის წმ. კრების 37-ე კანონი: „ვითარმედ არა ჯერ-არს თვნიერ პურისა და ღვინისა წყლითა განზავებულისა შეწირვაჲ სხუასა რასმე სიწმიდეთა შინა“ (სჯულისკანონი 1975: 305);

დ) „ეგრეთვე სასმელიცა ნაყოფისაგან ვენახისა მოიღო, განზავა, მადლობდა, აკურთხა, და წმიდა ჰყო“ (კონდაკი 1899: 237);

ე) „მესაიდუმლე, საყუარელთ თვისთა, სულთ მზრდელსა განუმზადებს ტაბლასა ხოლო, სანუკვარ არს თვით სიბრძნე ღვთისა და ზავებს ტაკუკსა სასმელად მორწმუნეთა, კეთილმსახურებით...“ (დიდი ხუთშაბათის საციკრო კანონთა I გალობის ტროპარი - მარხვანი 1901: 508);

და მრავალი სხვა.

**დამოწმებული ლიტერატურა:**

დმიტრევსკი 2009:

Дмитревский И. Истрическое догматическое и таинственное изъяснение Божественной литургии. Москва: Общество сохранения литературного наследия 2009.

ეპისკოპოსი მიქაელი 2000:

Епископ Михаил. ТОЛКОВОЕ ЕВАНГЕЛИЕ от Матфея. Минск: Издательство „Харвест“, 2000.

- ივანოვი 2002:** Иванов А.В. РУКОВОДСТВО к изучению книг Священного писания нового завета. Санкт-Петербург: Издательство „Воскресение“, 2002.
- კონდაკი 1899:** (საღვთისმსახური წიგნი) „კონდაკი“. თბილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1899.
- მარხვანი 1901:** (საღვთისმსახურო წიგნი) ტრიოდინი მარხვანი. თბილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1901.
- მიტროპოლიტი მაკარი 1999:** Митрополит Макарий. Православно-догматическое БОГОСЛОВИЕ т. II. Москва: Издательство „Паломник“, 1999.
- სჯულისკანონი 1975:** დიდი სჯულისკანონი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.